შეთანხმების ფურცელი

„2015 წლის 5 თებერვლის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 4)“ N4 ცვლილების წერილ-შეთანხმების“ თაობაზე

უწყება	შენიშვნა	კომენტარი
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	სასესხო შეთანხმებებში, UWSCG-ის საოპერაციო კოეფიციენტთან დაკავშირებული ვალდებულების ვადის გადაწევიდან გამომდინარე, განსახილველია აგრეთვე პროექტებში არსებული ძველი ვადების განახლების შესახებ საკითხებიც. კერძოდ: მე-4 პროექტთან დაკავშირებული ხელშეკრულების დანართი 5-ის მე-8 პარაგრაფის მე-2 წინადადება;	გათვალისწინებული იქნა დონორის მიერ. გაკეთდა შესაბამისი ცვლილებები შესაბამისი პროექტებში.
	ვინაიდან ჩარჩო შეთანხმებასა და მე-3 პროექტთან დაკავშირებულ შეთანხმებაში ცვლილების პროექტებით იცვლება ტერმინი - „საოპერაციო კოეფიციენტის“ („Operating Ratio“) მნიშვნელობა, მიზანშეწონილობის ფარგლებში შეფასებას მოითხოვს სხვა პროექტებში (4, 5, 6 ხელშეკრულებები) ამავე ტერმინის განმარტების ცვლილების საჭიროებაც.	არ იქნა გათვალისწინებული, რადგან აღნიშნული ტერმინი უკვე მოცემულია პროექტებში 4, 5 და 6 და იცვლება შესაბამისი პროექტების შეთანხმებების მითითებული მუხლების მხოლოდ პირველი წინადადებები.
	ვინაიდან წარმოდგენილი ხელშეკრულებების პროექტებით სესხების დახურვის თარიღად განისაზღვრება 2024 წლის 29 მარტი, აგრეთვე გადახედვას საჭიროებს აღნიშნული შეთანხმებების N1 დანართებით განსაზღვრული პროექტის დასრულების თარიღებიც.	არ იქნა გათვალისწინებული დონორის მიერ. მათი განმარტებით, პროექტის დასრულების თარიღი სასესხო შეთანხმებაში არსებული ჩანაწერიდან გამომდინარე არის სავარაუდო/მოსალოდნელი (expected) და არ საჭიროებს ცვლილებას.
	წარმოდგენილი ცვლილებების პროექტების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით ზოგადად შევნიშნავთ, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, წარმოდგენილი შეთანხმებების პროექტები ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციას.	გათვალისწინებული იქნება. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარდგენილი იქნება საქართველოს პარლამენტში

		სარატიფიკაციოდ.
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	იმის გათვალისწინებით, რომ 2015 წლის 5 თებერვლის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულება (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 4)“ რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 20 მარტის N3408-IIს დადგენილებით, წარმოდგენილი ცვლილების პროექტიც „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ძირითადი ხელშეკრულების მსგავსად, ხელმოწერის შემდგომ, ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციას;	გათვალისწინებული იქნება. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარდგენილი იქნება საქართველოს პარლამენტში სარატიფიკაციოდ.
	ამასთან, პროექტის ტექსტი საჭიროებს მთარგმნელობით და რედაქციულ შესწორებებს ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კერძოდ, მათ შორის: პროექტის ქართულენოვანი ტექსტის პირველ პუნქტთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია, რომ „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულება (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 4)“ დათარიღებულია 2015 წლის 5 თებერვლით.	გათვალისწინებულია. ტექსტი გასწორდა.
	ყოველივე ზემოაღნიშნულისა და ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია საქართველოს მიერ წარმოდგენილი ცვლილების შეთანხმების დადება.	
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სამინისტროს, კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ გააჩნია	
საქართველოს ეროვნული ბანკი	კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტის მიმართ შენიშვნები არ აქვს	
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტური სამინისტრო	სამინისტროს, კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ გააჩნია	
შპს საქართველოს წყალმომარაგების კომპანია	შენიშვნები არ გააჩნია	
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია აღნიშნული ცვლილებების შეთანხმების გაფორმება საფინანსო-ეკონომიკური თვალსაზრისით მოსალოდნელია, რომ დადებით შედეგს მოიტანს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია მისი ხელმოწერა.	

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია	კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ გააჩნია. ვინაიდან ცვლილებების პროექტებში მოცემულია საოპერაციო კოეფიციენტისა და საოპერაციო დანახარჯების ცნებები, აქვე განგიმარტავთ, რომ კომისია რეგულირებული საწარმოს, მათ შორის შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" საოპერაციო დანახარჯების მიზანშეწონილი და გონივრული ოდენობის განსაზღვრისას იხელმძღვანელებს კანონმდებლობისა და მის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების საფუძველზე, მათ შორის კომისიის 2017 წლის 10 აგვისტოს N21 დადგენილებით დამტკიცებული წყალმომარაგების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის შესაბამისად.	